ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტი

განათლების მეცნიერებათა დეპარტამენტი

მასწავლებელთა X საუნივერსიტეტო კონფერენცია

„უნივერსიტეტი სკოლას - სკოლა უნივერსიტეტს“

„სასწავლო რესურსები დისტანციური სწავლებისას - პრაქტიკის გაზიარება“

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის განათლების მეცნიერებათა დეპარტამენტი მართავს მასწავლებელთა X საუნივერსიტეტო კონფერენციას, რომლის მიზანია, დარგში არსებული ცოდნისა და სიახლეების ურთიერთგაცვლის / გაზიარების ხელშეწყობა.

კონფერენციაში მონაწილეობის მიღება შეუძლიათ მთელი ქვეყნის მასშტაბით მოქმედ მასწავლებლებს, სკოლის ადმინისტრაციის წარმომადგენლებს, უნივერსიტეტების პროფესორ-მასწავლებლებსა და სხვა დაინტერესებულ მხარეებს.

კონფერენცია ჩატარდება **2021 წლის 11 დეკემბერს** ონლაინ ფორმატში.
შეხვედრის ბმულს მიიღებთ მოგვიანებით, რეგისტრაციის გავლის შემდგომ.

კონფერენციის მომხსენებლები იმსჯელებენ დისტანციური სწავლებისას სასწავლო რესურსების გამოყენების თვალსაზრისით არსებულ გამოწვევებზე და პროფესიულ საზოგადოებას გაუზიარებენ საუკეთესო პრაქტიკას (სასწავლო გეგმა/მატრიცა, შეფასების ინსტრუმენტები, დიდაქტიკური რესურსები და სხვა).

სამუშაო ენა:
ქართული

კონფერენციის რეგლამენტი:
მოხსენება - 15 წუთი;
მსჯელობა - 10 წუთი;

მნიშვნელოვანი თარიღები:

თეზისების გაგზავნის ვადა: *2021 წლის 25 ნოემბრის ჩათვლით.*

კონფერენციის ელექტრონული ფოსტის მისამართი: pedconference@tsu.ge

კონფერენციაზე მომხსენებლად დაშვების შეტყობინება: *2021 წლის 4 დეკემბერი.*

თეზისების გაფორმების წესი:

აბსტრაქტი უნდა მოიცავდეს შემდეგ ძირითად ინფორმაციას:

- სასწავლო რესურსის მიზანს
- სასწავლო რესურსის აღწერას
- მისი გამოყენების პრაქტიკულ შედეგებს / რეფლექსიას

ფონტი: Sylfaen
ზომა: 12
ინტერვალი: 1,5
მოცულობა: მაქსიმუმ 1 გვერდი (არაუმეტეს 300 სიტყვისა)

საკონტაქტო პირი: ფსიქოლოგიის და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტი. მარიკა ჩაფიძე, marika.chapidze@tsu.ge

მეგი ესებუა - თსუ, ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტი. megi.esebua@tsu.ge